

ჰაინც ფენრიხი – 80

ნესტორი კავკასიოლოგი 80 წელი პროფესორ ჰაინც ფენრიხის დაბადებიდან

მრავალმხრივი, უაღრესად ნაყოფიერი და საფუძვლიანი – მოკლედ ასე შეიძლება შეჯამდეს პროფესორ ჰაინც ფენრიხის სამეცნიერო მემკვიდრეობა თანამედროვე კავკასიოლოგიაში. როგორც მკვლევარი, მთარგმნელი, ავტორი და გამომცემელი იგი უკვე 50 წელია მუხლჩაუხრელად იღვწის ქართველთა შესახებ არსებული ცოდნისა და სამეცნიერო მონაცემების შევსება-გაფართოების მიმართულებით. როგორც მასწავლებელი კი თითქმის ამდენივე ხნის განმავლობაში უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალბედა კავკასიოლოგებს.

იენის უნივერსიტეტის პროფესორის გერტრუდ პეჩის ლექციებით აღფრთოვანებული ჰაინც ფენრიხი, როგორც ამავე უნივერსიტეტის არქეოლოგიის სტუდენტი, გასული საუკუნის 60-იან წლებში იღებს გადაწყვეტილებას, საფუძვლიანად შეისწავლოს ქართული ენა და კულტურა. 1969 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი განსაკუთრებულად ზრუნავს კონტაქტების გაფართოებაზე ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასთან. მისი ქართული მალე აღწევს ენის ფლობის იმგვარ დონეს, როცა უკვე ძნელია გაარჩიო იგი მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ქართულისაგან. 1971 წელს ფენრიხი სადოქტორო დისერტაციას იცავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ზმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მას ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი აკად. აკაკი შანიძე, რომელსაც, როგორც მასწავლებელს, ასევე დიდი ამაგი აქვს გაწეული გერმანელი მოწაფის დახვეწილი ქართულისთვის.

პროფესორ გერტრუდ პეჩის პენსიაზე გასვლის შემდეგ ჰაინც ფენრიხი სათავეში ჩაუდგა კავკასიოლოგიური კვლევების სექტორს იენის უნივერსიტეტში და 1986 წელს შექმნა კავკასიოლოგიის კათედრა, რომელიც დღემდე ერთადერთია გერმანიის მასშტაბით. აქვე აღსანიშნავია მისი როლი იენის საუნივერსიტეტო და რეგიონული ბიბლიოთეკის კავკასიოლოგიური განყოფილების ჩამოყალიბების საქმეში.

ჰაინც ფენრიხის მრავალმხრივი საქმიანობიდან, უპირველეს ყოვ-

ლისა, აღსანიშნავია მისი საენათმეცნიერო მოღვაწეობა. ქართული ენის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა აისახა მის ამავე სახელწოდების ნაშრომში.¹ ინტერესები და პასუხები თანამედროვე საენათმეცნიერო პრობლემატიკაზე უხვადაა წარმოდგენილი მის წიგნებსა და საჟურნალო სტატიებში.²

ჰაინც ფენრიხის საენათმეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კომპარატიულ კვლევებს. ფონემათა კანონზომიერი გადაწევის შედეგად განვითარებულ მოვლენათა მიკვლევა და ახსნა ქართველური ენების ლექსიკურ ფონდში მისი საენათმეცნიერო საქმიანობის სოლიდურ ნაწილს შეადგენს. გამომცემლობა ბრილის მიერ გამოქვეყნებულ თითქმის 700-გვერდიან ნაშრომში თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროს მცირე სტატიების სახით წარმოდგენილი კვლევის შედეგები, აქვეა შეტანილი სხვა ავტორთა შენიშვნები და მიგნებები, რაც მთლიანობაში საუკეთესო საფუძველს ქმნის განმაზოგადებელი კომპარატიული კვლევების განსახორციელებლად ქართველოლოგიაში.³

მისი ლექსიკოგრაფიული საქმიანობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ ზურაბ სარჯველაძესთან მრავალწლიანი თანამშრომლობის ნიადაგზე შექმნილი ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი.⁴ წიგნს გამორჩეულს ხდის ლექსემათა ამომწურავი განმარტებები და საილუსტრაციო მასალის სიუხვე. გარდა საკუთრივ ქართულისა, ჰაინც ფენრიხის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა სწვდება მეგრულსა და სვანურს.⁵ იგი აგრეთვე მოიცავს ონომასტიკის სფეროებსაც.⁶ ფენრიხის ლექსიკოგრაფიული ინტერესები სცილდება ქართველური ენების სფეროს და მოიცავს ჩრდილო-კავკასიური ჯგუ-

1 Die georgische Sprache von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2012.

2 გამოკრებით: Zu den lexikalischen Ähnlichkeiten zwischen den Sprachen Kaukasiens und dem Burushaski. წიგნში: Fähnrich, H.: Kleine Schriften, Jena 2003; Fähnrich, Heinz: Historisch-vergleichende Sprachwissenschaft und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019; Die ältesten georgischen Inschriften von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2013.

3 Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2007.

4 Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch von Surab Sargshweladse und Heinz Fähnrich unter Mitwirkungen von Irine Melikishvili und Sopia Sardshweladse. Brill, Leiden-Boston 2005.

5 Otar Kadshaia und Heinz Fähnrich: Mingrelisch-Deutsches Wörterbuch. Wiesbaden: Reichert Verlag, 2001; Tscholurswanisch-deutsches Verbeerverzeichnis von Čantladse, Iza; Bابلuani, Rusudan und Heinz Fähnrich, Jena, 2003.

6 Fähnrich, Heinz: Georgische Toponymie. Jena 1998.

ფის ისეთ ენებს, როგორცაა ლაკური, ბაცბური და უდიური.⁷

მისი, როგორც ლექსიკოგრაფისა და ქართული ზმნის მკვლევრის მრავალწლიანი საქმიანობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ქართული ზმნის სამტომეული. კრებულში თავმოყრილია თანამედროვე ქართულში გამოყენებული ზმნების თითქმის სრული შემადგენლობა, ზმნები დალაგებულია ფუძეების მიხედვით, განვრცობილია სანიმუშო მასალით და თარგმნილია გერმანულ ენაზე (კრებულის თანავგებობები არიან ნათია რაინეკი და ნანა ოდიშელიძე).⁸

დღესაც კი, როცა თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მნიშვნელოვნად გაადვილდა საგამომცემლო საქმიანობა, ფენრიხი უყოყმანოდ უნდა ჩაითვალოს გერმანულენოვანი კავკასიოლოგიური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ გამომცემლად. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი, როგორც ჟურნალ გეორგიკას დამფუძნებლის, რედაქტორისა და გამომცემლის ღვაწლი. აღნიშნული ჟურნალი 1978 წლიდან 2017 წლამდე ასრულებდა პლატფორმის ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც კავკასიოლოგებს მსოფლიო მასშტაბით შეეძლოთ, გაეცვალათ სამეცნიერო ინფორმაცია. ასევე აღსანიშნავია ფენრიხის მიერ იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული კავკასიოლოგიური ლიტერატურის სერია. მისი მეშვეობით გერმანულენოვან მკითხველს მნიშვნელოვნად გაუადვილდა წვდომა ადრე სრულიად უცნობ ქართულ წყაროებზე, აღნიშნულმა სერიამ ასევე საშუალება მისცა არაერთ ახალბედა კავკასიოლოგს, ფართო სამსჯავროზე გამოეთანა საკუთარი კვლევის შედეგები.⁹

კიდევ ერთი ნაყოფი ფენრიხის მოღვაწეობისა, რომელიც აქ გვინდა წარმოვადგინოთ, მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ჩვეულებრივი ადამიანის მუყაითობასა და შრომით შესაძლებლობებზე. მხედველობაში გვაქვს მის მიერ ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის მოცულობა და მრავალფეროვნება. აქ იგულისხმება სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, მხატვრული ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშები, ისტორიულ წყაროები და კიდევ მრავალი სხვა ჟანრის, ფორმისა თუ ეპოქის ნაწარმოებები.

7 Heinz Fähnrich, *Lakischer Wortschatz*. Shaker Verlag, Aachen, 2017; Heinz Fähnrich, *Kleines Udisch-Deutsches Wörterverzeichnis*, Jena, 1999; Batsisch (Zowatuschisch) - *Deutsches Wörterbuch*, zusammengestellt von Heinz Fähnrich nach dem Zowatuschisch - Georgisch - Russischen Wörterbuch von D. und N. Kadagidse und R. Gagua, Jena 2001.

8 *Georgische Verben (mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen)* von Fähnrich, Heinz; Odischelidse, Nana und Natia Reineck. Shacker Verlag. Aachen, 2013.

9 მაგალითისთვის: *Zur Struktur der georgischen Vornamen* von Rieger, Ute. Jena, 2003.

წინამდებარე წერილის ავტორები წარმოვადგენთ რა საკუთარი და უცხო კულტურის მკვლევარ კავკასიოლოგთა ორ განსხვავებულ პერსპექტივას, გვინდა ჩვენი საერთო მოსაზრება გამოვთქვათ ბატონი ჰაინც ფენრიხის ერთ განსაკუთრებულ თვისებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იგი ახერხებს, თავის თავში გააერთიანოს კავკასიოლოგ-მკვლევრის ორივე ზემოხსენებული პერსპექტივა და გამოიმუშაოს უნარი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ზოგადად საენათმეცნიერო და კულტუროლოგიური კვლევების განსახორციელებლად.

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრისა და ჟურნალ კადმოსის რედაქციის სახელით, გულითადად ვულოცავთ პროფესორ ჰაინც ფენრიხს 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ მხნეობას და ვიმედოვნებთ, რომ იგი კიდევ არაერთხელ შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს თანამედროვე კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში.

პროფ. დიანა ფორკერი
იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
 ასოც. პროფ. ელგუჯა დადუნაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
იენის ფრიდრიხ შილერი უნივერსიტეტი

Heinz Fähnrich – 80

Nestor der Kaukasiologie

Anlässlich des 80 jährigen Jubiläums von Professor Heinz Fähnrich *

Vielseitig, äußerst produktiv und kompetenzvoll - so lässt sich kurz das Erbe von Professor Heinz Fähnrich in der gegenwärtigen Kaukasiologie bewerten. Als Forscher, Übersetzer, Autor und Herausgeber erweitert er seit mehr als 50 Jahre äußerst aktiv die Wissens- und Datenbasis über die Sprachen, Literatur, Folklore und Geschichte der Kartwelier. Als Lehrender gibt er seit fast ebenso langer Zeit seine Erfahrung an mehrere Generationen jüngerer Kaukasiologen weiter.

Angeregt durch die Vorlesungen von Prof. Gertrud Pätsch beschließt Fähnrich 1960er als Archäologie-Student der Universität Jena, sich mit georgischer Kultur und den Sprachen zu befassen. Nach der Promotion im Jahr 1969 intensiviert er persönliche Kontakte mit den akademischen Kreisen in Georgien und erlangt bald Sprachkenntnisse, die sich kaum von denen eines Muttersprachlers unterscheiden. 1971 habilitiert er sich an der Staatliche-Universität-Tiflis über das georgische Verb. Dabei wird er von Prof. Akaki Schanidze, dem führenden Vertreter der georgischen Sprachwissenschaft betreut, bei dem er sich auch für die von ihm erworbene Sprachkompetenzen im Georgischen zu bedanken hatte.

Nach der Emeritierung von Frau Prof. Gertrud Pätsch übernimmt Fähnrich die Leitung des Fachgebietes Kaukasiologie an der Universität Jena und schafft es im Jahr 1986 zu der Professur, die bislang die einzige Professur für Kaukasiologie in Deutschland darstellt. Nicht zu unterschätzen ist seine Rolle als Mitgestalter der kaukasiologischen Abteilung an der Universitäts- und Landesbibliothek Thüringen, mit einem gut organisierten Katalog und einem beträchtlichen Bestand an fachspezifischer Literatur.

Unter seinen vielseitigen Tätigkeiten ist Prof. Fähnrich zunächst einmal als Sprachwissenschaftler auszuzeichnen. Sein komplexes Wissen über die georgische Sprache spiegelt sich in seinem gleichnamigen Buch wider.¹ In seinen zahlreichen Büchern, Aufsätzen und Zeitschriftartikeln zeigt er sein Interesse für einzelne Schwerpunkte der gegenwärtigen Kartwelologie und schlägt einleuchtende Erklärungen vor.²

1 Die georgische Sprache von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2012.

2 In Auswahl: Zu den lexikalischen Ähnlichkeiten zwischen den Sprachen Kaukasiens und dem Burushaski. In: Fähnrich, H.: Kleine Schriften, Jena 2003; Fähnrich, Heinz: His-

Unter den sprachwissenschaftlichen Leistungen von Heinz Fähnrich ragen insbesondere seine komparatistischen Studien hervor. Erörterungen der nach den gesetzmäßigen lautlichen Verschiebungen entwickelten Ableitungen im Wortschatz der Kartwelischen Sprachen nehmen einen breiten Raum in seinem sprachwissenschaftlichen Werdegang ein. Der vom Verlag Brill veröffentlichte Band von knapp 700 Seiten, der eine Zusammenfassung seiner in relativ kleinen Publikationen bereits erschienenen Forschungsergebnisse auf diesem Feld sowie die Anmerkungen viele anderer Autoren darstellt, bereitet somit den fruchtbaren Boden für weitere komparatistische Untersuchungen der Kartwelischen Sprachen.³

Hervorzuheben sind ebenfalls seine Verdienste für die Lexikografie der Kartwelischen Sprachen. Unbedingt zu nennen ist das in der langjährigen Zusammenarbeit mit Prof. Zurab Sarjveladze fertiggestellte Altgeorgisch-deutsche Lexikon.⁴ Das Buch zeichnet sich durch die ausführlichen Erläuterungen der erfassten lexikalischen Einheiten, sowie die reichlich dargestellten Textquellen aus. Der Beitrag von Heinz Fähnrich in der Lexikographie der kartwelischen Sprachen greift auch auf den mingrelischen, und swanischen Wortschatz zurück.⁵ Er schließt außerdem die Onomastik ein und enthält systematische Beobachtungen über die Komposition der georgischen Toponymie und Eigennamen⁶. Die lexikographische Forschung von Heinz Fähnrich geht über die Kartwelischen Sprachen hinaus und umfasst andere kaukasische Sprachen wie Lakisch, Udisch und Batsisch.⁷

Als Lexikograph und Verbforscher hat Heinz Fähnrich seine langjährigen Arbeiten zu den georgischen Verben in einem dreibändigen Sammelband zusammengestellt (Koautorinnen der Publikation sind Natia Reineck und Nana Odischelidse).⁸ Der Sammelband erfasst den beinahe vollständigen Bestand der im modernen Georgischen gebrauchten Verben, geordnet nach ihren Stämmen und einzelnen Formen und ergänzt durch Satzbeispiele und deutschen Übersetzungen.

torisch-vergleichende Sprachwissenschaft und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019; Die ältesten georgischen Inschriften von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2013.

3 Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2007.

4 Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch von Surab Sargshweladse und Heinz Fähnrich unter Mitwirkungen von Irine Melikishvili und Sopio Sardshweladse. Brill, Leiden-Boston 2005.

5 Otar Kadshaia und Heinz Fähnrich: Mingrelisch-Deutsches Wörterbuch. Wiesbaden: Reichert Verlag, 2001; Tscholurwanisch-deutsches Verbeverzeichnis von Čantladse, Iza; Babluani, Rusudan und Heinz Fähnrich, Jena, 2003.

6 Fähnrich, Heinz: Georgische Toponymie. Jena 1998.

7 Heinz Fähnrich, Lakischer Wortschatz. Shaker Verlag, Aachen, 2017; Heinz Fähnrich, Kleines Udisch-Deutsches Wörterverzeichnis, Jena, 1999; Batsisch (Zowatuschisch) - Deutsches Wörterbuch, zusammengestellt von Heinz Fähnrich nach dem Zowatuschisch - Georgisch - Russischen Wörterbuch von D. und N. Kadagidse und R. Gagua, Jena 2001.

8 Georgische Verben (mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen) von Fähnrich, Heinz; Odischelidse, Nana und Natia Reineck. Shacker Verlag. Aachen, 2013.

Auch heute in der Zeit der computergestützten Publikationen und Herausgeberschaften ist Heinz Fähnrich immer noch der produktivste Herausgeber der kaukasiologischen Literatur. Hier ist zunächst einmal seine Leistungen als Begründer, Editor und Herausgeber der Zeitschrift GEORGICA zu betonen. Die von 1978 bis 2017 mit unterschiedlicher Regularität erschienene Zeitschrift galt als Austauschplattform zwischen Kaukasiologen aus aller Welt. Zu nennen ist außerdem die von ihm ins Leben gerufene Kaukasiologischen Reihe. Durch die Gründung dieser Reihe ermöglichte Heinz Fähnrich den deutschsprachigen Leserinnen und Lesern den Zugang zu ansonsten nicht erreichbaren kaukasiologischen Texten. Die Reihe diente ebenfalls dafür, den Weg für jüngere Kaukasiologen zu ebnet, um beispielsweise sie ihre Magisterarbeiten zu veröffentlichen und somit einer breiteren Leserschaft zugänglich zu machen.⁹

Der nächste Tätigkeitsbereich von Heinz Fähnrich, den wir hervorheben möchten, übersteigt in seinem Ausmaß fast unsere Vorstellungen über das Menschenmögliche. Es handelt sich um den Bestand und die Menge der von ihm aus dem Georgischen ins Deutsche übersetzten Texte. Dies sind unzählige Artikel und Leitfäden verschiedenster Art, folkloristische und literarische Texte in Vers und Prosa, historische Chroniken, Texte aus allen Sprachperioden und Genres.

Gedanken über seine Person aus der doppelseitigen Perspektive der emischen und der etischen Kaukasiologen, wie diese durch die Autoren der vorliegenden Festschrift vertreten wird, lässt uns seine Individualität und Besonderheit erkennen, die harmonische Synthese von beiden Herangehensweisen und die aus diesem Grund erreichte Qualität, die gerade bei der Erforschung der Kultur und der Sprache geschätzt und gebraucht wird.

Im Namen des Lehrstuhls für Kaukasiologie der Friedrich-Schiller-Universität Jena und im Auftrag des Redaktionsteams der Zeitschrift Kadmos wünschen wir langes Leben, Schaffenskraft und Freude bei der Arbeit und alles Gute für Professor Heinz Fähnrich und hoffen sehr auf seine weiteren Beiträge zur zeitgenössischen Kaukasiologie.

Prof. Dr. Diana Forker

Friedrich-Schiller-Universität Jena

Assoz. Prof. Dr. Elguja Dadunashvili

ISU Tiflis / Friedrich-Schiller-Universität Jena

⁹ Z.B.: Zur Struktur der georgischen Vornamen von Rieger, Ute. Jena, 2003.